# ხელშეკრულება #36

16 თებერვალი 2016წ.

ქ. თბილისი

ერთის მხრივ შპს „თვითმმართველობის მაცნე"-ს გაზეთის რედაქცია, შემდგომში „რედაქციად" წოდებული მისი დირექტორის ნინო კალანდაძის სახით და მეორეს მხრივ, „დამკვეთად" წოდებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას სახით ხელმძღვანელობენ რა ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობით, დადეს ხელშეკრულება შემდეგზე:

## 1.ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ერთჯერადად საინფორმაციო-მომსახურეობის გაწევას და გაზეთების მიწოდებას. CPV 2220000

## 2.ხელშეკრულების ღირებულება

**2.1.** ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს.

**2.2.** ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 3.ანგარიშსწორება

**3.1.** ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით: ა) ანგარიშსწორების ვალუტა-ლარი; ბ) ანგარიშსწორების ფორმა-უნაღდო; წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

**3.2.** შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს ღირებულება ინვოისის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 4.მხარეთა უფლება მოვალეობები

**4.1.შემსყიდველი** ვალდებულია: გადაუხადოს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება; მიიღოს ზემოთ აღნიშნული საქონელი. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიზეზით სახელშეკრულებო ვადების დარღვევის შემთხვევაში გააუქმოს ხელშეკრულება ან მიიღოს საქონელი და არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული ხარჯები, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სათანადო სტანდარტებს.

**4.2. მიმწოდებელი:** ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში დაიცვას ხელშეკრულების ყველა მოთხოვნა. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

## 5. შესრულების ვადები

5.1. მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება 16 დეკემბრის 2016 წლიდან ------------ 31 დეკემბრის---2016წლამდე.

## 6.მხარეთა შორის დავათა გადაწყვეტა

6.1.მხარეთა შორის უთანხმოების შემთხვევაში დავათა გადაწყვეტა მოხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 7. ფორს – მაჟორული სიტუაციები:

7.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გრემოებათა დასრულების შემდეგ.

## 8.სხვა პირობები

8.1.არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
8.2.მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკით.
8.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
8.4.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 9. მხარეთა იურიდიული მისამართები და ანგარიშსწორების ანგარიშები

„მიმწოდებელი"

შპს თვითმმართველობის მაცნე ს/ნ.443567828
ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№31
საბანკო რეკვიზიტები: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი"
ცენტრალური ფილიალი (კოდი): **BAGAGE22**
მიმღების დასახელება: თვითმმართველობის მაცნე
ანგარიშის ნომერი: **GE35BG0000000783135500**

შპს თვითმართველობის მაცნეს

დირექტორი: /ნინო კალანდაძე/

"შემსყიდველი"

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
მის :-----------------------------------
ს/ს „ლიბერთი ბანკის" მესტიის ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ნ -------------------------------------------
ს/კ ---------------------------------------------

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი /ირაკი კუჭავა/